პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 19 დეკემბერი, 1950 წ. № 284 (8844). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიადი ერთიანობა — „პრავდის" 18/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
პარტიისა და ხალხის ერთიანობის დემონსტრაცია (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი (1-ლი გვერდი).
საქართველოს მშრომელთა მორალურ - პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია (მე-2 გვერდი).
გ. იაკობაშვილი—გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა გამსხვილებული კოლმეურნეობებისადმი (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
პოლონეთის მთავრობის ნოტა (მე-3 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად (მე-4 გვერდი).

დიადი ერთიანობა

გუშინ დიდი პატრიოტული აღფრთოვანების ვითარებაში მოხდა რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მიღებული ცნობები მეტყველებენ, რომ არჩევნები გადაიქცა ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, რომ საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებული ორგანიზებულობით მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები საბჭოთა ხალხის ერთიანობის, კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო მისი დარაზმულობის ახალ მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენდა. არჩევნებმა კვლავ და კვლავ ცხადყო საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი მზადყოფნა — იბრძოლოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგ სტალინის სახელით მიდიოდა გუშინ მილიონობით საბჭოთა ადამიანი საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მიეცა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის. ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენი ხალხი ხმას აძლევდა ლენინ-სტალინის პარტიას, მის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს. ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯის აყვავებას. ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ისინი ხმას აძლევდნენ კომუნისტური მშენებლობის დიდებულ სტალინურ გეგმებს. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით საბჭოთა ადამიანები ხმას აძლევდნენ ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას.

ყველა ქალაქსა და სოფელში უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით წარმოთქვამდნენ დეპუტატობის პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატის ამხანაგ სტალინის — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედის სახელს. უმაგალითო აღფრთოვანებითა და ზეიმით მოახდინეს არჩევნები მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და მინსკის, თბილისისა და ალმა-ატის, რიგისა და ვილნიუსის, ტალინისა და პეტროზავოდსკის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და სხვა იმ ქალაქების მშრომელებმა, სადაც ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად კენჭს იყრიდა ამხანაგი სტალინი.

გულის სიღრმიდან ამომხდარი რამდენი მგრძნობიარე სიტყვა ითქვა გუშინ ამხანაგ სტალინის შესახებ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველა ენაზე! მოსკოვის სტალინის რაიონში ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ბორის ანდრეევმა ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა:

— ჩვენი ბრიგადა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მუშაობდა ამ ღამეს. იგი სტახანოვურ ვახტზე იდგა დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად. ცვლის დავალება ჩვენ ორასი პროცენტით შევასრულეთ! სიამაყით ვაძლევთ ხმას ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინი მთელ თავის სიცოცხლეს ახმარს მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას. ჩვენ ყველანი დიდი სტალინის, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის უსაზღვროდ ერთგული ვართ! ამხანაგ სტალინთან ერთად საბჭოთა ხალხი იმარჯვებდა და გაიმარჯვებს ყოველთვის და ყველგან! ჩვენი პატიოსანი, თავდადებული შრომით განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძალასა და ძლიერებას!

უკრაინელმა ახალგაზრდა სტახანოველმა თამარ დნიშჩენკომ ამხანაგ სტალინისათვის ხმის მიცემისას თქვა:

— მე სულ ცოტა ხნის წინათ შემისრულდა 18 წელი. პირველად ვიღებ მონაწილეობას არჩევნებში. დიდი სიხარულით ვაძლევ ხმას საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. გულითადი მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრებისათვის.

ბევრი შესანიშნავი შეხვედრა, გულითადი საუბარი გაიმართა გუშინ საარჩევნო უბნებში. ადამიანები ლაპარაკობდნენ საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრებისა და შემოქმედების ბედნიერებაზე, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიხარულზე, ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულსა და მადლობაზე.

გმირ ქალაქ სტალინგრადში, მშვიდობის ქუჩაზე, მესამე უბანში საარჩევნო ყუთთან ერთ-ერთი პირველი მივიდა მშენებელი მუშა ივანე ტიტაევი. იგი საბინაო მშენებლობის სტახანოველია. მან თავისი ხელით აგო ბევრი სახლი ახალ ქუჩაზე — მშვიდობის ქუჩაზე. საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებისას ამხანაგმა ტიტაევმა გრძნობით წარმოთქვა:

— მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება ხმა მივცე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. უდიდესი სიხარულის გრძნობით ვაძლევ ხმას ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედს — ხმას ვაძლევ ჩვენი სახელოვანი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მშვიდობას, კომუნიზმს. დიდება დიდ სტალინს!

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ახალი გამარჯვება, ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე მის განუზომელ უპირატესობათა დემონსტრაცია იყო. ისეთი ნამდვილი საყოველთაო-სახალხო არჩევნები, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ცნობებით ჩანს, რომ ბევრ ოლქში კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა მთელი ასი პროცენტი. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებში გუშინ აირჩიეს ასეულათასობით დეპუტატი — ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს ჩვენი ქვეყანა შეეგება ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. არჩევნების აღსანიშნავად საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველყო მრავალი ათასი საწარმოს მიერ წლიური გეგმების ვადამდე შესრულება. შეჯიბრების მსვლელობაში დაწინაურდნენ შრომის შესანიშნავი გმირები, წარმოების ნოვატორები.

პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასახა ისტორიულ სიტყვაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს. წარმატებით შესრულებულია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები, რომ აღვადგინა ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადაგვეჭარბებინა ამ დონისათვის მნიშვნელოვანი ოდენობით. ცნობილია, რომ ხუთწლიანი გეგმით მთელი ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 1950 წელს უნდა გადიდებულიყო 48 პროცენტით ომამდელ 1940 წელთან შედარებით. ნამდვილად კი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე 1950 წლის ცხრა თვეში გადაჭარბებულია 70 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია ომამდელი დონე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში. სამეურნეო წარმატებათა საფუძველზე განუხრელად მაღლდება ხალხის მასების კეთილდღეობისა და კულტურის დონე.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებანი მოწმობენ საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას, მის უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალიზმის აშენების შედეგად ჩვენი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლდა მემამულურ-კაპიტალისტური მონობისაგან, გახდა თავისი ბედის პატრონი, თავისი ბედნიერების შემქმნელი. ეწევიან რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ადამიანები ისტორიაში უმაგალითო ტემპით ავითარებენ სახალხო მეურნეობას, აუმჯობესებენ თავიანთ მატერიალურ კეთილდღეობას. ამავე დროს კაპიტალის ქვეყნებში წარმოებს გამალებული მზადება ახალი მსოფლიო ომისათვის, იქ გამეფებულია მშრომელთა მხეცური ექსპლოატაცია, მილიონობით ადამიანთა უმუშევრობა, ხალხის მასების შიმშილი, სიღატაკე და უუფლებობა.

სოციალისტური სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრებით ამაყმა საბჭოთა ადამიანებმა არჩევნების დღე გაატარეს როგორც დიდი, საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. საარჩევნო კამპანიამ უფრო დარაზმა საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გააძლიერა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენმა ხალხმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები და მისცა მათ განაწესი: ყველაფერში მიჰყვებოდნენ ლენინ-სტალინის პარტიას, დაუღალავად ახორციელებდნენ მის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. საბჭოთა ხალხი თავის არჩეულთაგან მოითხოვს, რომ ისინი იყვნენ ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწენი, რომ ემსახურონ თავიანთ სამშობლოს ისე, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის.

დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენმა ხალხმა ააშენა სოციალიზმი, მოიპოვა ისტორიული გამარჯვება სამამულო ომში და წარმატებით ახორციელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ომისშემდგომ ხუთწლიან გეგმას. სტალინის გენიით აღფრთოვანებული გმირი საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

„პრავდის" 18/XII მოწინავე

პარტიისა და ხალხის ერთიანობის დემონსტრაცია

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონში

დეკემბრის ადრიანი დილაა. მოსკოვის ცის თაღზე ელნათურების შუქი ციმციმებს. შორიდანვე მოჩანს კრემლის ლალისფერ ვარსკვლავთა ელვარება.

ჩვეულებრივ დღეს ასე ადრე დიდი ქალაქი თითქმის დუმს. დღეს მან ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე გაიღვიძა. ჯერ კიდევ არ გამოსულა ტრამვაი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, სიწყნარეა მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სასახლეებში, ხოლო მოსკოვის ქუჩები და მოედნები უკვე აივსო სადღესასწაულოდ მორთული ასეულათასობით ადამიანით. ისინი საარჩევნო უბნებისაკენ მიეშურებიან. დინჯად მიაბიჯებენ მოსკოველი კადრის მუშები და მხცოვანი მეცნიერები, მიდიან ახალგაზრდები.

როცა კრემლის კურანტებმა ექვსჯერ დარეკეს, ხოლო რადიორეპროდუქტორებიდან მთელ მოსკოვში გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის საზეიმო ჰანგები, თვითეულ საარჩევნო პუნქტთან უკვე იდგა ბევრი ამომრჩეველი.

აი დედაქალაქის სტალინის რაიონი. აქ, მეიერის გასასვლელის ახალ მონუმენტურ შენობათა შორის გამოირჩევა სახლი № 21. ამ სახლის ფასადზე ელექტრონათურების სხივებში მოჩანს იმ ადამიანის პორტრეტი, რომლისკენაც ამ საზეიმო მომენტში მიპყრობილია ყველა საბჭოთა ადამიანის თვალი და გრძნობა. აქ მოთავსებულია ხმის მისაცემი პუნქტი დედაქალაქის 90-ე საარჩევნო ოლქისა, სადაც მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

დილის სრულ ექვს საათზე სტუმართმოყვრულად იღება საარჩევნო უბნის კარი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ულოცავს შეკრებილ ასობით ამომრჩეველს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს და იწვევს მათ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

იწყება ხმის მიცემა. ერთ-ერთი პირველი იღებს ბიულეტენს მოსკოველი კადრის მუშა დიმიტრი პავლეს-ძე ლავროვი. იგი მთელ თავის ოჯახთან ერთად მოვიდა. აქ არიან მისი ცოლი, შვილები — მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები, მათი ცოლები.

დარბაზიდან რომ გამოვიდა, დიმიტრი პავლეს-ძემ აღფრთოვანებულმა თქვა:

— უდიდესი სიხარულით მივეცი ხმა ამხანაგ სტალინს. გულითადი მადლობა იოსებ ბესარიონის-ძეს ჩვენი ბედნიერებისათვის.

მოსკოველებთან ერთად ხმას აძლევენ ვლადივოსტოკიდან და რიგიდან, უკრაინიდან და შუა აზიიდან ჩამოსულნი. ყველას, ვინც ამ დღეებში დედაქალაქში ჩამოვიდა, თავის მოვალეობად მიაჩნია ხმა მისცეს მოსკოვის სტალინის რაიონში.

აი ხმას აძლევს ასტრახანელი მეთევზე ანდრია გრიგოლის-ძე მიტიაკოვი. მან მოსკოვში ჩამოაცილა თევზით დატვირთული ეშელონი. ეს თევზი ასტრახანელმა მეთევზეებმა გეგმის გადამეტებით დაიჭირეს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს საჩუქრად გამოუგზავნეს.

შემდეგ საარჩევნო ბიულეტენს იღებს ესტონეთის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა ჯგუფი, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა, რათა გაეცნოს დედაქალაქის ნოვატორთა გამოცდილებას.

ბევრი ამომრჩეველი, უშვებს რა ბიულეტენს საარჩევნო ყუთში, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს აწვდის ბარათს, რომელშიც გამოხატულია ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი დიდი სიყვარული და ერთგულება.

მანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი ვ. ე. ასტარინი წერს:

— ხმა მივეცი რა ამხანაგ სტალინს, მე ხმა მივეცი ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენი შვილების ბედნიერებას, ყველა საბჭოთა ადამიანის ბედნიერებას.

ხმის მიცემაში მონაწილეთა შორის ბევრია ახალგაზრდა. სიხარულით უბრწყინავთ თვალები საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეებს.

სტამბის ახალგაზრდა მუშა ე. სტაროსტინა ეუბნება თავის ამხანაგებს:

—მე ჭეშმარიტად დიდი ბედნიერება მხვდა წილად: პირველად ვაძლევ ხმას და ხმა მივეცი მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

საარჩევნო კომისიაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის მრავალი წერილი, რომლებშიც მხურვალედ მიესალმებიან, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას უსურვებენ ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

მოსკოვის ოლქიდან ნ. ორლაშჩენკომ გამოგზავნა მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსები ამხანაგ სტალინზე.

— ეს ლექსები, — წერს იგი, — გაისმის ყველგან ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ საკოლმეურნეო მინდვრებში.

ამ ლექსებში ხალხი უმღერის მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს.

კენჭისყრის პირველი საათის განმავლობაში ხმა მისცა დაახლოებით 800 კაცმა — საარჩევნო უბნის მოქალაქეთა ერთ მესამედზე მეტმა. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

ოცდამეცამეტე ტომში, ნათქვამია წინასიტყვაობაში, შედის ვ. ი. ლენინის 1921 წლის 16 აგვისტოდან 1923 წლის 2 მარტამდე პერიოდის სტატიები, მოხსენებები, სიტყვები და წერილები.

ამ ნაწარმოებებში მოცემულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი შედეგები, დასაბუთებულია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა და მოხაზულია მისი გეგმა.

სტატიებში: „ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით", „ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისათვის", „ოქროს მნიშვნელობის შესახებ ახლა და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ" და მოხსენებებში: „რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ"—საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე 1921 წლის 23 დეკემბერს, „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში" — პარტიის XI ყრილობაზე 1922 წლის 27 მარტს, „რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები"—კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წლის 13 ნოემბერს, „სიტყვაში მოსკოვის საბჭოს პლენუმზე" 1922 წლის 20 ნოემბერს და სხვა ნაწარმოებებში ლენინი გვიჩვენებს მსხვილი სოციალისტური მრეწველობის აღდგენისა და აღმავლობის დასაწყისს, მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას ახალ ეკონომიურ საფუძველზე. ლენინი სახავს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლის გზებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ „ნეპური რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადაიქცევა".

ამ ტომში დაბეჭდილი მთელი რიგი გამოსვლები, სტატიები და დოკუმენტები მიძღვნილია პარტიული მშენებლობის საკითხებისადმი, პარტიის წმენდისა და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისადმი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისადმი, საბჭოთა, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანოების ხელმძღვანელობისადმი. ასეთებია: სტატია „პარტიის წმენდის შესახებ", წერილები ვ. მ. მოლოტოვისადმი „პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ", „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში" რკპ(ბ) XI ყრილობაზე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ" და სხვ.

ტომში დიდი ადგილი უკავია ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ლენინის მოღვაწეობა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და გაუმჯობესების დარგში. ამ ნაწარმოებთა რიცხვში შედის: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების, მათი გაგების და მათი შესრულების შესახებ", „წერილი ი. ბ. სტალინისადმი მოადგილეთა (სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ", „დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ", „ორმაგი" დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ" და „სიტყვა IX მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-ის IV სესიაზე" 1922 წლის 31 ოქტომბერს.

ამ ტომში მოთავსებულ მრავალ სიტყვაში, სტატიასა და დოკუმენტში ლენინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ემყარებოდა რა საბჭოთა რესპუბლიკისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას, ლენინი საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებდა მშვიდობისათვის ბრძოლას და საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას.

საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში ლენინი აყალიბებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ძირითად ამოცანებს და აშუქებს მსოფლიო რევოლუციის განვითარების პერსპექტივებს. ლენინი მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთსა და ჩინეთში, რომელთა მოსახლეობა საბჭოთა რუსეთთან ერთად მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას წარმოადგენს.

ტომში მოთავსებულია ლენინის უკანასკნელი სტატიები: „დღიურის ფურცლები", „კოოპერაციის შესახებ", „ჩვენი რევოლუციის შესახებ", „როგორ გარდავქმნათ მუშათა და გლეხთა ინსპექცია", „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი". ამ სტატიებში ლენინმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა გეგმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმის გზით, წამოაყენა სოციალიზმის აშენების საქმეში გლეხობის მონაწილეობის თავისი კოოპერაციული გეგმა. ლენინმა განსაზღვრა კულტურული რევოლუციის ამოცანები და დასახა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

დასასრულ ტომში ქვეყნდება ლენინის ცნობილი სტატია „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ", რომელშიც ლენინმა დასახა მარქსისტული ფილოსოფიის დარგში მუშაობის პროგრამა.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში და ი. ბ. სტალინისადმი წერილებში, რომლებიც ოცდამეცამეტე ტომში შევიდა, მკაფიოდ გამოხატულია ლენინისა და სტალინის თანამეგობრობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობაში, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციაში, მათი ერთობლივი ბრძოლა პარტიის მტრების — ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, ველიკორუსული შოვინიზმისა და კუთხური ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ოცდამეცამეტე ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის 20 ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება თხზულებებში. „წერილებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი", „სიტყვაში ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავის დღესასწაულისადმი 1921 წლის 7 ნოემბერს" და „ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივის პროექტში" (ორი უკანასკნელი დოკუმენტი პირველად იბეჭდება), გაშუქებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

„წერილში პოლიტბიუროს წევრებისადმი პარტიის წმენდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ" ლენინი წინადადებას იძლევა დაწესდეს პარტიაში მიღების უფრო მკაცრი პირობები.

თხზულებებში პირველად იბეჭდება მთლიანად „წერილი ი. ბ. სტალინისადმი პოლიტბიუროს წევრებისათვის. პასუხი შენიშვნებზე მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ", რომელშიც ლენინი მკაცრად აკრიტიკებს ტროცკის მტრულ, ანტიპარტიულ პოზიციას მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლისა და ამოცანების საკითხში.

თხზულებებში პირველად ქვეყნდება: ვ. ი. ლენინის წერილი დ. ი. კურსკისადმი, რომელიც ეხება საბჭოთა სასამართლო კანონმდებლობის შემუშავებას, „ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ", „წერილი ი. ბ. სტალინისადმი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ" 1922 წლის 13 ოქტომბრის თარიღით (იბეჭდება პირველად), რომელშიც ლენინი იცავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევობას ბუხარინის, სოკოლნიკოვისა და სხვათა მიერ მისი საფუძვლების ძირის გამოთხრის ცდების წინააღმდეგ; „წერილი ი. ბ. სტალინისადმი ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსვლის გამო"; ორი წერილი ი. ბ. სტალინისადმი რადიოტექნიკის განვითარების საკითხებზე და წერილი ი. ბ. სტალინისადმი 1922 წლის 15 აპრილის თარიღით (იბეჭდება პირველად).

„წერილში პოლიტბიუროსადმი სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობის რეზოლუციის გამო საერთაშორისო მდგომარეობაზე" ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო როლს, როგორც პირველი ქვეყნისას, რომელმაც საქმით განახორციელა ხალხთა თვითგამორკვევის პოლიტიკა.

„გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო სრულიად რუსეთის ცაკ-ის დადგენილების პროექტში" განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დარგში; „ე. ვანდერველდესადმი პასუხის პროექტში" ლენინი ამხილებს გამცემლურ როლს II და II½ ინტერნაციონალების ლიდერებისას, რომლებიც მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური პარტიების დასაცავად გამოვიდნენ (ორივე დოკუმენტი პირველად იბეჭდება).

ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის მისალმებანი სხვადასხვა ყრილობებისა და ორგანიზაციებისადმი, რომლებიც თხზულებებში პირველად ქვეყნდება: „დეპეშა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ნარიმანოვისადმი" (იბეჭდება პირველად), „დაღისტნის მშრომელებისადმი", „დეპეშა „აზნავთის" მუშებისა და ინჟინრებისადმი", „ბ. მიხელსონის ქარხნის მუშებს", „სახელმწიფო ელექტროსადგურ—„ელექტროპერედაჩის" მუშებსა და მოსამსახურეებს".

ოცდამეცამეტე ტომით მთავრდება იმ ძირითად ნაწარმოებთა პუბლიკაცია, რომლებიც შეტანილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში. ვ. ი. ლენინის მიმოწერა ორგანიზაციებთან და პირებთან — წერილები, დეპეშები, ბარათები—შევა თხზულებათა უკანასკნელ 34-ე და 35-ე ტომებში. (საკდესი).

სტახანოველთა შესანიშნავი მიღწევები არჩევნების დღის აღსანიშნავად

16 დეკემბერს, არჩევნების წინა დღეს, თბილისის სალიანდაგო დისტანციის სალიანდაგო სახელოსნოს კოლექტივი (დისტანციის უფროსი ინჟინერი გ. ძღენტი, სახელოსნოს უფროსი ნ. მერაბიშვილი) დადგა სტახანოვურ ვახტზე არჩევნების აღსანიშნავად ახალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს ამ დღეს სტახანოვურ ვახტზე დგომისას მჭედლებმა არჩილ კობაიძემ, გიორგი ირემაშვილმა და ლითონშემდუღებელმა არჩილ მაისურაძემ.

მჭედელმა არჩილ კობაიძემ მეურნევე გიორგი ჯანჯალაშვილთან ერთად 8 საათის განმავლობაში გამოჭედა 103 ცალი მძიმე ტიპის სალიანდაგე გადამყვანი ზედები (ნორმით თვითეულმა მჭედელმა მეურნევესთან ერთად 8 საათში უნდა გამოჭედოს 5,5 ცალი ზედები — ფოლადის გრძელი ზოდი საისრე გადამყვანისათვის). ამრიგად, ა. კობაიძემ და გ. ჯანჯალაშვილმა 16 დეკემბერს ერთ ცვლაში გეგმა 1.855 პროცენტით შეასრულეს და 682 მანეთი გამოიმუშავეს.

მჭედელი გიორგი ირემაშვილი და მისი მეურნევე არტემ ირემაშვილი ამ დღეს მუშაობდნენ საისრე კალმის ქუსლის ჰანჭიკების დამზადებაზე. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 23 ცალი ჰანჭიკისა მათ დაამზადეს 296 ჰანჭიკი, რაც ცვლის ნორმის 1.281 პროცენტს უდრის. მათ ამ დღეს გამოიმუშავეს 428 მანეთი.

დიდი წარმატება მოიპოვა ამ დღეს ლითონშემდუღებელმა არჩილ მაისურაძემ. მან 8 საათში შეადუღა 400 ცალი ზედები ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 22 ცალისა, დღიური გეგმა შეასრულა 1.819 პროცენტით და გამოიმუშავა 560 მანეთი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომი ესტონურ ენაზე

ტალინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ესტონეთის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ესტონურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომი.

თარგმანი შეასრულა ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ცენტნერი სოია

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 დეკემბრისათვის 103,4 პროცენტით შეასრულეს სოიის დამზადების გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ცენტნერი სოია.

საქართველოს მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

* * * *

ბიულეტენებზე

გორი. (საქ. კორ.). მარად დაუვიწყარი იქნება გორელ მშრომელთათვის 17 დეკემბერი. მათ ამ დღეს დიდი სიხარული და ბედნიერება განიცადეს— თავიანთი ქალაქის საბჭოს პირველ დეპუტატად აირჩიეს დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. ქალაქის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება ეს დაუვიწყარი თარიღი. გორელებმა ხმა მისცეს ჩვენს ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას, რომელიც შეგვიქმნა გორის მადლიან მიწაზე დაბადებულმა ადამიანმა.

როცა არჩევნების დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ყუთი გახსნა, აღმოჩნდა, რომ მრავალ ბიულეტენზე იყო ამომრჩეველთა წარწერები, რომლებითაც ისინი გამოხატავდნენ უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს დიდი სტალინისადმი.

„ბევრი სიხარული განმიცდია ცხოვრებაში, მაგრამ ამ სიხარულს რა შეედრება—ხმას ვაძლევ ჩვენს მშობლიურ ბელადს დიდ სტალინს. ათასი ხმა რომ მქონდეს, ათასივეს მივცემდი მას". — ვკითხულობთ ერთ-ერთ ბიულეტენზე.

თვითეული გორელი დიდად არის დაინტერესებული თავისი მშობლიური ქალაქის მშენებლობით და აყვავებით. გორის ბამბეულის კომბინატის მუშა ფიცს აძლევს ამხანაგ სტალინს, რომ მთელ ენერგიას მოახმარს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას:

„უსაზღვროა ჩემი სიხარული. დღეს ხმას ვაძლევ დიდ სტალინს, ხვალიდან კი გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებ გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობაზე. მე მინდა უფრო ჩქარა აშენდეს და აყვავდეს ბელადის სამშობლო ქალაქი".

ბიულეტენებზე ბევრია ახალგაზრდების მიერ წარწერილი სიტყვები. ახალგაზრდა ამომრჩეველი აღფრთოვანებულია, რომ ხმა მისცა დიდ ბელადსა და მასწავლებელს:

„უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ პირველად ვიღებ არჩევნებში მონაწილეობას და ხმას ვაძლევ დიდ სტალინს. დიდხანს იცოცხლოს და იდღეგრძელოს მშობლიურმა სტალინმა".

მეორე წარწერა:

„ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ სტალინურ ეპოქაში. ჩვენ გზას გვინათებს დიდი სტალინის გენია. ხმას ვაძლევ ჩვენს სტალინს, ჩვენს ბედნიერებას".

წმინდა გულით ნათქვამი უბრალო სიტყვებით გორელმა ამომრჩევლებმა გამოხატეს თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

გორელმა ამომრჩევლებმა თავიანთი ქალაქის საბჭოს დეპუტატად ერთსულოვნად აირჩიეს დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. პედაგოგიური ინსტიტუტის საარჩევნო უბნის ამომრჩევლებს ბიულეტენებზე გაუკეთებიათ ამხანაგ ბერიასადმი სიყვარულით აღსავსე მრავალი წარწერა. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული მეომარი წერს:

„ხმას ვაძლევ რა ამხანაგ ბერიას, ამით ხმას ვაძლევ დიდ სტალინს, ხმას ვაძლევ კომუნიზმის გამარჯვებას, ხმას ვაძლევ მშვიდობას მთელ მსოფლიოში".

გორელი მშრომელნი უსაზღვროდ ბედნიერი არიან, რომ თავიანთი ქალაქის საბჭოს პირველ დეპუტატად აირჩიეს დიდი ბელადი მშობლიური სტალინი.

ხმას აძლევდნენ სამშობლოს ღირსეულ შვილებს

ქუთაისი. (საქ. კორ.). დილაადრიანად ამომრჩევლები სიხარულით გაეშურნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა განეხორციელებინათ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლება.

სტალინის საარჩევნო უბანში 100-ზე მეტმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი. პირველი ბიულეტენები მიიღეს ახალგაზრდა ინჟინერმა თამარ ბებიამ, შ. ბობოხიძემ, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატმა ა. კრიგერმა და სხვებმა. მათ სიხარულით მისცეს ხმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილებს — საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს პლატონ წულუკიძეს, დოცენტ გიორგი ლორთქიფანიძეს, ტყავფეხსაცმლის კომბინატის სტახანოველს თინა პატარიძეს და სხვებს.

ქალაქის ყველა კუთხიდან მოჩანდა გაჩირაღდნებული მოლოტოვის საარჩევნო უბანი, რომელიც ქალაქის გარეუბანში, ბაგრატის ისტორიული ტაძრის მახლობლად მდებარეობს. აქ ადრიანად გამოცხადდა ხმის მისაცემად 100 წლის ამომრჩეველი სამსონ ჩიქოვანი.

ამ უბანში საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა აბრეშუმის კომბინატის მოწინავე ფეიქარი ამხ. ვაშაკიძე.

რუსთაველის საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ყველას დაასწრეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ავთანდილ ცომაიამ, ქეთევან ტერენტიევამ, ცაბუ დოლიძემ. მათთან ერთად განახორციელეს თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება ძველმა ბოლშევიკებმა რომანოზ გეგელიძემ და ვიქტორ ჰუმბურიძემ. ამ უბანში საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარეს სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველმა მარიამ გეწაძემ, საქენერგოს წარჩინებულმა მონტიორმა ილია ჟვანიამ და სხვებმა.

დილის 11 საათისათვის ქალაქის ყველა საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იყო.

დედა-სამშობლოზე, მშობლიურ სტალინზე ფიქრით

სტალინირი. (საქ. კორ.). არჩევნების დღე — 17 დეკემბერი წარუშლელად აღიბეჭდა მშრომელთა მეხსიერებაში. ცამდე აწვდილ ბუმბერაზ მთებში, თვალწარმტაც ლიახვისა და ქსნის ხეობებში, განახლებულ სტალინირში დიადი სამშობლოს ერთ-ერთი ბედნიერი კუთხის ადამიანები ხმას აძლევდნენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

წელიწადის ყოველ დროს ხიბლავს ადამიანს თავისი სილამაზით მდინარე ლიახვის სანაპიროზე გაშენებული ბელადის სახელობის ქალაქი — სტალინირი. მაგრამ არჩევნების დღეს განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ადამიანს მოზეიმე სტალინირის ხილვა.

ამომრჩეველთა მხიარული ხმები ადრიანად მოეფინა ქალაქის ქუჩებს.

ხმის მიცემის დაწყებამდე ბევრად ადრე საარჩევნო უბნებთან გაიგონებდით ამომრჩეველთა სიტყვებს:

— მე მეგონა პირველი მოვიდოდი.

— ბედნიერი განთიადი დგება, ამხანაგებო!

საარჩევნო უბნებში მოსულან მოხუცებიც და ახალგაზრდებიც — მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც დღეს პირველად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას. არიან მცირეწლოვანებიც — პატარა გოგონები და ბიჭუნები, მათაც გაუზიარებიათ საერთო ზეიმით გამოწვეული სიხარული და შინ დარჩენაზე არ დათანხმებიან მშობლებს.

აი ბერიას სახელობის საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა განწყობილების შესაფერისად, საზეიმოდ მოურთავთ იგი. უბანში თავი მოუყრია მრავალ ამომრჩეველს.

6 საათია. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ზ. ჯიოევი ამომრჩევლებს ულოცავს არჩევნების დაწყებას.

საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი მოვალეობა, ორგანიზებულად შეუდგნენ მუშაობას.

საარჩევნო ყუთთან პირველი მიდის ამომრჩეველი ი. დუდაევი. იგი, ვიდრე ბიულეტენს ყუთში ჩაუშვებდეს, ყველას გასაგონად ამბობს:

—მე მოვიჩქაროდი საარჩევნო უბნისაკენ, გამოვიარე ჩვენი ქალაქის განახლებული ქუჩები. გზადაგზა მესმოდა მოზეიმე ადამიანების ხმა. ჩემი მშობლიური ქალაქის აღორძინებისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის მინდა უსაზღვრო მადლობა ვუძღვნა ადამიანს, ვინც სინამდვილედ აქცია ჩვენი ოცნება, შეგვიქმნა ბედნიერი ცხოვრება, — დიდ სტალინს.

საარჩევნო ყუთთან მიდიან გმირი დედა ნატალია ბაგაევა, ახალგაზრდა ამომრჩეველი ფედრა კოჩიევი...

დედა-სამშობლოზე, მ შ ო ბ ლ ი უ რ სტალინზე ფიქრით მიდიან საარჩევნო ყუთთან ამომრჩევლები და სიხარულით აძლევენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სტალინის სახელობის საარჩევნო უბანი მოთავსებულია კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის შენობაში. ვიდრე უბანში მივიდოდნენ, ამომრჩევლები ერთხანს ჩერდებიან სტალინის სახელობის მოედანზე, რომლის ცენტრშიც აღმართულია კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის ბრძენი ბელადის დიდი სტალინის მონუმენტი. იგი დასცქერის მოზეიმე ქალაქს. სტალინის საარჩევნო უბანში ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს პირველებმა მისცეს ხმა ამომრჩევლებმა: სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლემ გალინა მირზაშვილმა, 60 წლის დიასახლისმა ანა ძიკაევამ და სხვებმა.

ხმის მიცემა უმაგალითო ზეიმად, საბჭოთა სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების ბრწყინვალე დადასტურებად გადაიქცა ქალაქ სტალინირის ყველა საარჩევნო უბანში.

* * *

დიდი სახალხო ზეიმი იყო მთის სოფლებში. საარჩევნო უბნებისაკენ ადრიანად დაიძრნენ ამომრჩევლები. ბევრ მათგანს სურდა პირველი მისულიყო საარჩევნო ყუთთან და ამიტომ წინადღითვე გაამზადა სამგზავრო ცხენი. მხედრები მოაჭროლებდნენ მთის მარდ ცხენებს. ხალხის სიმღერის ხმა გადადიოდა მთიდან მთაზე. საარჩევნო უბნებში ლხინი იმართებოდა. ხმის მიცემის შემდეგ მთიელები კვლავ რჩებოდნენ საარჩევნო უბნებში, უერთდებოდნენ საერთო ზეიმს.

— ბედნიერ სიბერეს შევესწარი, — სთქვა ხმის მიცემის დროს ლენინგორის რაიონის ციხისოფლელმა მოხუცმა, საუკუნეს მიღწეულმა გიორგი დრიაევმა, — მე ჩემი მთების, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აღორძინებას ვაძლევ ხმას.

მათ შორის, ვისაც სიყვარულით აძლევდა ხმას საკოლმეურნეო სოფელი, იყვნენ ლენინგორის რაიონის სოფელ ბაგების კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ გერასიმეს-ძე საბანოვი, ზნაურის რაიონის სოფელ სუნისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქრისტინე ვასილის ასული ბეგიაშვილი, აგრონომი გლებ ივანეს-ძე კალინინი და მრავალი სხვა.

ყველა საარჩევნო უბანში დილის საათებშივე ამომრჩეველთა 80-90 პროცენტს მიცემული ჰქონდა ხმა.

ზეიმი იყო სამხრეთ ოსეთში.

ამომრჩეველთა პატრიოტული აღფრთოვანება

რუსთავი. (საქ. კორ.). ახალი სოციალისტური ქალაქის მცხოვრებნი წელს პირველად მონაწილეობენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. ადვილი მისახვედრია მიზეზი იმ განსაკუთრებული აღფრთოვანებისა, რაც რუსთავის მშრომელებს 17 დეკემბრის დღის გათენებამ მოუტანა.

ჯერ კიდევ ღამე იყო, რომ წითელი დროშებით, საარჩევნო ლოზუნგებით და პლაკატებით მორთულ, ელექტრონათურებით გაკაშკაშებულ ქალაქის ქუჩებში გაისმა სასულე ორკესტრის ხმა. მთელ ქალაქს მოეფინა ახალგაზრდების მხიარული, გამაცოცხლებელი ხმები. ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ საარჩევნო უბნებისაკენ მიმავალი ამომრჩევლები.

№ 4 საარჩევნო უბანში პირველი გამოცხადდა რუსთავის სადგურის მეისრე სტეფანე წიწაკაშვილი. აიღო თუ არა საარჩევნო ბიულეტენი, სიხარულით გაბრწყინვებული თვალები მიმოავლო ირგვლივ მყოფებს და განაცხადა:

— რუსთავის სადგურში 1921 წლიდან ვმუშაობ. ამ ხნიდან მოყოლებული 1944 წლამდე ეს ადგილი, სადაც ახლა ჩვენი საამაყო ახალგაზრდა ქალაქია გაშენებული, მომშთლებულ ველს წარმოადგენდა, აქ ობლად იდგა სადგურის ერთადერთი შენობა. ახლა, როდესაც უკაცრიელი ველის ნაცვლად ჩემს თვალწინ ვხედავ საზეიმოდ მორთულ, ულამაზეს ქალაქს, გული გამოუთქმელი სიხარულით მევსება. სულითა და გულით ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, რადგან მტკიცედ მჯერა, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას და აღორძინებას, ხმას ვაძლევ დიდ სტალინს.

საარჩევნო უბანში დილის 6 საათისათვის ორგანიზებულად მოვიდა № 41 საარჩევნო ოლქის 300-მდე ამომრჩეველი.

საარჩევნო უბნის შენობაში პირველი რუსული რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედმა წრემ მოაწყო კონცერტი ამომრჩევლებისათვის.

ორგანიზებულად მივიდნენ ამომრჩევლები № 3 საარჩევნო უბანშიც. აქ საარჩევნო ყუთში პირველი ბიულეტენი ჩაუშვეს 94 წლის ანა ბალდასაროვამ, შემდეგ ახალგაზრდა ამომრჩეველმა ნ. კოჭლამაზაშვილმა და სტახანოველებმა ქ. შენგელიამ და ს. ჯავახიშვილმა, რომლებმაც არჩევნების დღისათვის ნაკისრი ვალდებულება 250 პროცენტით გაანაღდეს.

დიდი აღფრთოვანებით მოეწყო არჩევნები № 1, 2, 6 და სხვა საარჩევნო უბნებში. № 6 საარჩევნო უბანში ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ცნობილ სტახანოველ ყალატოზს კ. ლიხოტას, რომელმაც 1944 წელს რუსთავის უკაცრიელ ველზე ააგო პირველი სახლი და ამჟამადაც მაღალნაყოფიერად მუშაობს ქალაქის სამშენებლო უბნებში.

დღის 4 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ქალაქის ამომრჩეველთა 95 პროცენტს.

ერთსულოვნება, დარაზმულობა

თელავი. (საქ. კორ.). დილის 5 საათზე ქუჩები ხალხით აივსო. ისინი საარჩევნო უბნებისაკენ მიეჩქარებოდნენ.

მიმზიდველად არის გაფორმებული № 4 საარჩევნო უბანი, რომელიც მოთავსებულია ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის შენობაში. აქ დილის ხუთი საათისათვის 200-ზე მეტმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი.

სრულ 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ვ. მაისურაძე მხურვალედ მიესალმება ამომრჩევლებს და ულოცავს არჩევნების დაწყებას.

საარჩევნო ბიულეტენს პირველი იღებს მოსწავლე ნოდარ მთვარელიშვილი. იგი პირველად მონაწილეობს არჩევნებში. შემდეგ ყუთში ბიულეტენს უშვებს ვეტექიმი ვლადიმერ ხელაშვილი, რომელსაც სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურება აქვს.

არჩევნებზე საამაყო მაჩვენებლებით მოვიდნენ თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშები. მათ ვადაზე ერთი თვით ადრე 105 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, დაზოგეს 8 ტონა ნედლეული და სახელმწიფოს მისცეს 3,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება. ფაბრიკის მუშებიდან საარჩევნო ყუთში ბიულეტენს პირველი უშვებს ბრიგადირი ლუბა კომახიძე, რომელმაც გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 2.000 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი.

არჩევნებს მომზადებული შეხვდა მეორე საარჩევნო უბანი (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პ. მიქელაძე). აქ წინასწარ ყველაფერი გაითვალისწინეს. ხმის მიცემისას უმნიშვნელო შეფერხებაც არ ყოფილა. ამ უბანში დანიშნულ დროზე სამი საათით ადრე გამოცხადდნენ წარჩინებული მოსწავლეები მერი ხიზანაშვილი, ქუჟუნა გოცირიძე, ლილი უსუფოვი და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტი თინა ათუაშვილი. ისინი პირველად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

— ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მივიდეთ საარჩევნო ყუთთან და ხმა მივცეთ ჩვენს ბედნიერ მომავალს, — აცხადებდნენ ისინი, და მართლაც მათ პირველებმა მისცეს ხმა.

წინანდალში, ზემო უბნის საარჩევნო უბანში ბიულეტენს პირველი იღებენ 95 წლის მოხუცი გიორგი ბეჟუაშვილი, მისი მეუღლე ევა და შვილიშვილი ნოდარი. მათ ხმა მისცეს თელავის რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე წინანდლის ლენინის ორდენის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს იონა ჩარკვიანს.

რაიონის საარჩევნო უბნებში დილის ათი საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტს.

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა გამსხვილებული კოლმეურნეობებისადმი

საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის. თუ 1950 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში 3.916 კოლმეურნეობა იყო, ამჟამად 2.777 კოლმეურნეობაა. მრავლად იყო გაფანტული პატარა კოლმეურნეობები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც გაერთიანების შემდეგ 368 კოლმეურნეობის ნაცვლად 211 კოლმეურნეობა დარჩა. ოჩამჩირის რაიონში 63 კოლმეურნეობიდან დღეისათვის არის 47 მსხვილი კოლმეურნეობა, ქედის რაიონში—38 კოლმეურნეობიდან 25, გურჯაანის რაიონში — 38 კოლმეურნეობიდან 20, თელავის რაიონში — 49 კოლმეურნეობიდან 27, ზესტაფონის რაიონში — 78 კოლმეურნეობიდან 48, გორის რაიონში—147 კოლმეურნეობის ნაცვლად ამჟამად არის 108 კოლმეურნეობა. კოლმეურნეობათა გასაერთიანებლად მუშაობა გრძელდება.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების გადაწყვეტა უმთავრესად დამოკიდებულია კოლმეურნეობათა მუშაობასა და მდგომარეობაზე. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, რომ თვითეული კოლმეურნეობა ასრულებდეს თავის სამეურნეო გეგმებს, პატიოსნად ასრულებდეს სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებებს და უზრუნველყოფდეს კოლმეურნეთა მაღალ შემოსავალს".

კოლმეურნეობათა გამსხვილება საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მსხვილი მეურნეობა უფრო ეფექტიანად იყენებს რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს. მექანიზაციის ფართოდ დანერგვა დაგვეხმარება ავითვისოთ ახალი მიწები, ამასთანავე დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, გააადვილებს მძიმე სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას, თვალსაჩინოდ შეამსუბუქებს კოლმეურნის შრომას და გაზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ გამსხვილებულ კოლმეურნეობებში უკეთ ეწყობა შრომა. ასეთი მეურნეობა მრავალდარგიანი და მაღალშემოსავლიანი ხდება. მსხვილ მეურნეობაში დიდად არის შემცირებული ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა ზედნადები ხარჯები, უფრო მაღალფასოვანი ხდება შრომადღე.

გამსხვილებული კოლმეურნეობა საშუალებას იძლევა უფრო უკეთესად იქნას დაყენებული კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა, ფართოდ მოეწყოს სოფლების რადიოფიკაცია, გაუმჯობესდეს კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების და კლუბების მუშაობა.

მსხვილ კოლმეურნეობაში არის ყველა პირობა მეცხოველეობის განვითარებისათვის. ასეთ კოლმეურნეობას შესაძლებლობა აქვს ააშენოს მეცხოველეობის კულტურული სადგომები, უზრუნველყოს კონცენტრირებული და უხეში საკვების დაგროვება და მისი ეფექტიანად გამოყენება, შეინარჩუნოს და კარგად გამოზარდოს ნამატი, შეამციროს ბერწიანობის შემთხვევები და მნიშვნელოვნად აამაღლოს პირუტყვის პროდუქტიულობა, ხელი შეუწყოს მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის ფართოდ განვითარებას.

გამსხვილებული კოლმეურნეობები პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვენ უფრო მოქნილ და უნარიან ხელმძღვანელობას. რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებებისა და მტს-ების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მეტი ოპერატიული, კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს. მათ კარგად უნდა შეისწავლონ საქმის მდგომარეობა ადგილებზე და მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბოლშევიკურმა პარტიამ მთელი სიმკვეთრით დააყენა მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების საკითხი. ამიტომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, მათ მოადგილეებად, ბრიგადირებად, საწყობების გამგეებად, ფერმების გამგეებად, საანგარიშო დარგის მომუშავეებად უნდა შევარჩიოთ მცოდნე, ენერგიული ადამიანები.

კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად ძირითადად შერჩეულ უნდა იქნან უმაღლესი და საშუალო ცოდნის მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის საკითხებში კარგად გარკვეული ადამიანები. დასაშვებია ისეთი მოწინავე პრაქტიკოსების გამოყენებაც, რომლებმაც თავისი ორგანიზატორული ნიჭითა და უნარით შეძლეს თავი ესახელებინათ საკოლმეურნეო მშენებლობაში.

პრაქტიკამ ცხადყო გამსხვილებული კოლმეურნეობების უდიდესი უპირატესობა წვრილ კოლმეურნეობებთან შედარებით. აი ერთი მაგალითი.

მიმდინარე წლის აგვისტოში ერთ კოლმეურნეობად გაერთიანდა ქარელის რაიონის სოფელ რუისის 5 წვრილი კოლმეურნეობა. გაერთიანების შემდეგ კოლმეურნეები საკოლმეურნეო შრომაში უფრო ენერგიულ მონაწილეობას იღებენ. თუ 1949 წლის სექტემბერში საშუალოდ ყოველდღე ხუთივე კოლმეურნეობაში სამუშაოზე გადიოდა 700 შრომისუნარიანი კოლმეურნე მოხუცების ჩათვლით, 1950 წლის სექტემბერში ყოველდღე გადიოდა 1.000-მდე კოლმეურნე. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეთა შორის გაიზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, საკოლმეურნეო სიმდიდრის გამრავლებისათვის.

სოფელ რუისის ყოფილ 5 კოლმეურნეობაში, სანამ მათი გაერთიანება მოხდებოდა, საკმაო რაოდენობით არა ჰქონდათ საკოლმეურნეო ნაგებობანი. მაგალითად, არ იყო ფერმისათვის საჭირო სადგომები, პროდუქტების შესანახავი საწყობები, საშრობები, ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა კანტორის შენობაც კი. პირუტყვისათვის დაქირავებული შენობების ქირად დიდი რაოდენობით იხარჯებოდა პროდუქტები. 1949 წელს ხუთივე კოლმეურნეობის მიერ დაქირავებულ შენობებში სამ ტონაზე მეტი ხორბალი გაიცა. არც ერთ კოლმეურნეობას არ ჰქონდა კლუბი, სამკითხველო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

გაერთიანების შემდეგ კოლმეურნეობამ მოკლე დროში ააგო კაპიტალური შენობა 80 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის; დაწყებულია და ამ მოკლე ხანში დამთავრდება სტანდარტული ბოსლის მშენებლობა 150 სული პირუტყვისათვის. შეკეთებულია და ზამთრისათვის მომზადებულია ცხვრის, ცხენებისა და ქათმების სადგომები, 3 წისქვილი, ორი საშრობი, ორი საწყობი. 7 კილომეტრის მანძილზე გაიყვანეს რადიოხაზი და ამჟამად მიმდინარეობს სოფლის რადიოფიკაცია. კოლმეურნეობას აქვს სატელეფონო ხაზი. კოლმეურნეობამ 1950 წელს შემოდგომის კულტურების სათესი ფართობი 450 ჰექტარით გაადიდა: ნაცვლად 1949 წლის 800 ჰექტარისა წელს დათესილი აქვს 1.250 ჰექტარი. დათესეს საკუთარი თესლი მტს-ის სათესი მანქანებით. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია გაზაფხულისათვის საჭირო ყველა სახის თესლით. კოლმეურნეობამ მოკლე ვადაში დაამთავრა, მოსავლის აღება, საშემოდგომო ხვნა და თესვა. შაქრის ჭარხლის აღება აქ 10 სამუშაო დღეში დაამთავრეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 დღისა, სიმინდისა კი — 12 დღეში.

გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ შეძლო საკმაო რაოდენობით დაემზადებინა საკვები პირუტყვისათვის. ამჟამად კოლმეურნეობას დაჯავშნილი აქვს 1.250 ტონა კარგი ხარისხის უხეში საკვები, დამზადებულია 150 ტონაზე მეტი სილოსი, ამდენივე სხვა სახის კონცენტრირებული საკვები. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კარგი მოვლილია.

ხუთივე ყოფილ კოლმეურნეობას 30 ბრიგადა ჰყავდა, რომლის ხელმძღვანელებსაც 10.800-ზე მეტი შრომადღე ერიცხებოდათ, ეს კი ბრიგადების მიერ გამომუშავებული შრომადღეების 13 პროცენტს აღემატებოდა. 1951 წლიდან კოლმეურნეობას განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს და დააკომპლექტოს არა უმეტეს 16 ბრიგადისა. თვითეულ ბრიგადაში დატოვებულ იქნება 45-60 კაცამდე. ეს გარემოება კოლმეურნეობას მისცემს 6.000-მდე შრომადღის ეკონომიას. მომავალ წელს ბრიგადირების შესანახავად დაიხარჯება ბრიგადაში გამომუშავებული შრომადღეების 3,8 პროცენტი.

გაერთიანებამდე კოლმეურნეობებში სატრაქტორო ბრიგადების მომსახურება მოწესრიგებული არ იყო. ამჟამად კი კოლმეურნეობაზე მიმაგრებულია მტს-ის სამი სატრაქტორო ბრიგადა, რაც უზრუნველყოფს სატრაქტორო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ ძლიერ შეამცირა ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შენახვის ხარჯები. გაერთიანებამდე ამ კოლმეურნეობებში ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალი 53 კაცისაგან შედგებოდა, გაერთიანების შემდეგ მათი რაოდენობა 32 ერთეულით შემცირდა. მათ შესანახავად წელიწადში დაიხარჯება 6.500 შრომადღე ნაცვლად 14.000 შრომადღისა.

ამრიგად, სოფელ რუისის გამსხვილებული კოლმეურნეობა მკვიდრ საფუძველზე დადგა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ის ერთ-ერთი უძლიერესი კოლმეურნეობა იქნება მთელ საქართველოში. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ რუისის გამსხვილებულ კოლმეურნეობას.

ამხანაგი კ. ჩარკვიანი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამბობდა: „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო მთავრობა პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვენ ყოველდღიურად და სისტემატურად იზრუნონ გაერთიანებული კოლმეურნეობებისათვის. რაიკომები და რაიაღმასკომები ვალდებული არიან განიხილონ და დაამტკიცონ თვითეულ გამსხვილებულ კოლმეურნეობაში მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებანი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა შემადგენლობის განმტკიცებას".

კოლმეურნეობათა გამსხვილება უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა მოკლე დროში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად, კომუნიზმის მშენებლობის დასაჩქარებლად. ახლა ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ გამსხვილებული კოლმეურნეობანი ორგანიზაციულ-მეურნეობრივად და თვალსაჩინოვით გავუფრთხილდეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას. მთელი ძალით ვიბრძოლოთ მთელ ფართობზე უხვი მოსავლის მოსაყვანად, წარმატებით განვახორციელოთ ის დიდი ამოცანები, რაც პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა სტალინმა დაგვისახეს საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის, მევენახეობა-მეღვინეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი, მძლავრი აღმავლობის საქმეში.

გ. იაკობაშვილი

სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს წარმომადგენელი საქართველოს სს რესპუბლიკაში

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი

ამა წლის 15 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი შათენიო და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი, რისი ტექსტიც ქვემოთ ქვეყნდება:

„საბჭოთა მთავრობამ ამა წლის 3 ნოემბრის ნოტაში წინადადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს — მოეწვიათ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის შეთანხმების შესრულების საკითხზე.

ამასთან, რამდენადაც გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის, ზოგიერთი სხვა მთავრობის მონაწილეობით, წარმოებს მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიისა და მისი შეიარაღებული ძალების შეყვანაზე სახელმწიფოთა როგორც დასავლეთ ევროპის, ისე ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებებში, რომელთა აგრესიული ხასიათის შესახებ სსრ კავშირის მთავრობამ უკვე გამოთქვა თავისი თვალსაზრისი. ამ მიზნით, როგორც ფართოდ ცნობილია, მოეწყო ხსენებული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე სამხედრო მინისტრებისა და გენერალური შტაბების უფროსების მთელი რიგი თათბირები.

არსებული ცნობები შესაძლებლობას გვაძლევენ ვამტკიცოთ, რომ საფრანგეთის მთავრობა უკვე შეუთანხმდა სხვა მთავრობებს დასავლეთ გერმანიაში გერმანიის არმიის აღდგენაზე, ამ არმიაში ბევრი ჰიტლერელი გენერლისა და ოფიცრის გაგზავნაზე, აგრეთვე იმ ღონისძიებებზე, რომ აღდგენილ იქნას სამხედრო მრეწველობა, მათ შორის რურის სამხედრო მრეწველობა, რომელიც არაერთგზის ყოფილა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და გერმანიის აგრესიის ბაზა. ამჟამად უკვე დაწყებულია ამ შეთანხმების დეტალების განხილვა. სხვა საკითხთა შორის განიხილავენ დასავლეთ გერმანიაში არმიის საერთო რაოდენობის დადგენას, ამასთან გამოქვეყნებული ცნობებიდან ცხადია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე სახელმწიფოთა გენერალური შტაბების უფროსები ემყარებიან იმას, რომ პირველ ხანებში დასავლეთ გერმა-

[illegible]

შეიარაღებული ძალების მეხუ-[illegible] ... შემდეგში დასავლეთ [illegible] ბის შეიარაღებულ ძალებს [illegible] გერმანიის არმიის მიერ უპი[illegible] დაკავებას. ამასთან განიხილავ[illegible] მანიის დივიზიების და ბრიგა[illegible] ბას, მათ აღჭურვას მძიმე [illegible] რის ტანკებით, და გერმანიის [illegible] ძინების სხვა კონკრეტულ საკ[illegible]

ამასთან ერთად ცნობილია, [illegible]

[illegible]

საბჭოთა მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი

[illegible]

პოლონეთის მთავრობის ნოტა

ვარშავა, 16 დეკემბერი. (საკდესი). პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სკშეშევსკიმ მიიღო ინგლისის ელჩი ვარშავაში ბეიტმენი და გადასცა ნოტა, რომლითაც პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში პოლონეთის რესპუბლიკის საკონსულოების მუშაკთა მიმართ უკანონობისა და ძალადობის აქტების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ასეთი მდგომარეობის გამო იგი უკან იწვევს გერმანიაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებთან აკრედიტებულ ყველა საკონსულოს მუშაკებს.

პოლონეთის მთავრობას წინათ არაერთგზის განუცხადებია პროტესტი გერმანიაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ საკონსულოების წარმომადგენელთა უკანონო დევნის წინააღმდეგ, პოლონეთის საკონსულოების მუშაკებისათვის კუთვნილი უფლებების ჩამორთმევისა და ხელშეუხებლობის დარღვევის წინააღმდეგ და სხვ.

პოლონეთის მთავრობასა და პოლონეთის საზოგადოებრივ აზრს, ნათქვამია ნოტაში, შეგნებული აქვთ ის ფაქტი, რომ ინგლისის ხელისუფალთა ამ მოქმედებას საკონსულოების მიმართ, რასაც ახასიათებს ოფიციალურად ცნობილ ვალდებულებათა დარღვევა, უხეშობა და სამართლის უგულებელყოფა, უშუალო კავშირი აქვს იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ახორციელებს ამჟამად ინგლისის მთავრობა გერმანიის საკითხებში. ახორციელებენ რა გერმანელთა აგრესიული ძალების მობილიზაციას და ადიდებენ რა საოკუპაციო ჯარების კონტინგენტს დასავლეთ გერმანიაში, საოკუპაციო ხელისუფალთ დასავლეთ ზონებში არ სურთ დაუშვან ამ ტერიტორიაზე პოლონეთის წარმომადგენელთა შემდგომი ყოფნა, პოლონეთისა, რომლის წინააღმდეგაც ისინი მიმართავენ გერმანიის რემილიტარიზაციის მახვილს.

დასავლეთის საოკუპაციო ზონებიდან პოლონეთის საკონსულოების განდევნა დაკავშირებულია ამასთან ერთად სამშვიდობო პოლიტიკის განმახორციელებელ ხალხთაგან სამი სახელმწიფოს მიერ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის იზოლირების პოლიტიკასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

პოლიტიკური კომიტეტის 13 დეკემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი) 13 დეკემბრის დღის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა 13 სახელმწიფოს იმ რეზოლუციის განხილვას, რომელიც ითვალისწინებს 3 პირისაგან შემდგარი ჯგუფის შექმნას, რათა „დადგენილ იქნას საფუძველი, რომელზეც შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეაში ცეცხლის შესაწყვეტად და გენერალური ასამბლეისათვის რაც შეიძლება მოკლე დროში შესაფერისი რეკომენდაციების წარსადგენად“.

[illegible] გეთისა და ისრაელის დელეგატების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და ცხადყო, რომ თავიანთ გამოსვლებში ისინი იდგნენ იმ პოზიციაზე, რაც შეესაბამება მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხებული ჯარების ინტერესებს, რომელთაც ესაჭიროებათ შესვენება კორეაში საომარი მოქმედების განსაახლებლად.

შემდეგ 13-ის რეზოლუციას მხარი დაუჭირეს ნორვეგიის, ფილიპინების, კანადისა და ეგვიპტის დელეგატებმა.

[illegible] გენლების, მათ შორის ჩინეთის სახალხო მთავრობის წარმომადგენლის, სავალდებულო მონაწილეობით. მაგრამ როგორ მოეპყრო ამერიკის მთავრობა ნერუს ამ წინადადებას?—განაცხადა მალიკმა—ჩვენ ყველას გვახსოვს სახელმწიფო მდივნის აჩესონის განცხადება, რომლითაც მან კატეგორიულად უარყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრის წინადადება.

ი. ა. მალიკმა გადაჭრით გაილაშქრა კანადის წარმომადგენლის სიტყვის წინააღმდეგ, რომე-[illegible]

[illegible]

14 დეკემბრის დილის პლენარული სხდომა

[illegible]

(დასასრული IV გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

(დასასრული)

ეგვიპტის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ „ცამეტის“ პროექტი მიღებულ იქნა 52 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ხმა მისცა ხუთმა (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია); ერთმა თავი შეიკავა (გომინდანელი).

სხდომის დასასრულს ასამბლეამ განიხილა გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის მუშაობის ადგილის საკითხი. ბოლივიის, კოლუმბიისა და პერუს დელეგაციებმა წარადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც რეკომენდებულია მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესია ევროპაში, ამასთან ასამბლეის თავმჯდომარეს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიენდოს ქვეყნისა და ქალაქის არჩევა. რეზოლუციის ეს პროექტი მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით. მას ხმა მისცა 31 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. წინააღმდეგ მისცა ხმა 16 დელეგაციამ და თავი შეიკავა 11 დელეგაციამ.

14 დეკემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე ასამბლეის თავმჯდომარემ ენტეზამმა განაცხადა, რომ ინდოეთის წარმომადგენელი რაუ და კანადის წარმომადგენელი პირსონი დათანხმდნენ შევიდნენ სამი პირისაგან შემდგარ ჯგუფში, რათა „დადგენილ იქნას საფუძველი, რომელზეც შეიძლება შეთანხმების მიღწევა კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გენერალურ ასამბლეას რაც შეიძლება მოკლე ვა-[...] ნონ სრული ცნობები მათს ტერიტორიებზე მყოფი ლტოლვილებისა და ადგილგადანაცვლებული პირების შესახებ.

ხმის მიცემის მოტივებზე გამოსულმა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა ქ. ვ. კისელიოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მთავრობებს, აგრეთვე ლტოლვილთა საქმეებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამმართველოს პირდაპირი ბრალი მიუძღვით ადგილ-[...]

[...] ისრაელმა და ერაყმა) კენჭისყრაში თავი შეიკავა.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ მთელმა რიგმა დელეგატებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, გააკეთეს განცხადება ხმის მიცემის მოტივებზე. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის დელეგაციის პოზიცია იმ რეზოლუციების პროექტების მიმართ, რომლებიც პალესტინას ეხება, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა დააჩქაროს გადაჭრა პალესტინის პრობლემისა, რომლის მოცულობაც, სამწუხაროდ, მუდამ ფართოვდება. მან აგრეთვე განაცხადა, რომ რეზოლუციის პროექტში აღნიშნული ღონისძიებანი, სსრ კავშირის დელეგაციის აზრით, ვერ გამოიწვევენ პალესტინის გადაუჭრელი საკითხების ისეთ მოწესრიგებას, რომელიც სასარგებლო იყოს პალესტინის ხალხებისათვის.

გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი (ხმის უმეტესობა მიიღო ვან ჰევენ ჰუდჰარტმა — ჰოლანდია) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისარი ლიბიაში (ხმის უმეტესობა მიიღო მატიენსომ — ბოლივია). აგრეთვე [...]

[...] ბის საბჭოს ორი წევრის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დაუსწრებლად და უშიშროების საბჭოს სხდომებში გომინდანური ჯგუფის წარმომადგენლის უკანონო მონაწილეობით. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭომ კორეის საკითხზე მიიღო გადაწყვეტილებანი და ამით დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უკრძალავს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას, როცა საქმე ეხება ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი დაჯგუფების შინაურ კონფლიქტს.

უშიშროების საბჭოს მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პირდაპირი ზეგავლენით კორეის საკითხზე მიღებული უკანონო რეზოლუციები ცხადყოფენ, განაცხადა ცარაპკინმა, რომ უშიშროების საბჭო ამ საკითხში მოქმედებდა არა როგორც ისეთი ორგანო, რომელსაც აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ როგორც იარაღი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ომის გასაჩაღებლად იყენებენ.

ცარაპკინმა აგრეთვე თქვა, რომ უშიშროების [...]

[...] რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე რეზოლუციის პროექტი სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად წარდგენილ იქნა მხოლოდ 12 დეკემბერს და განხილულ იქნა მეტად ნაჩქარევად. ბევრ დელეგაციას არ ჰქონდა საშუალება ყურადღებით შეესწავლა ეს პროექტი. სსრ კავშირის დელეგაციის სახელით ცარაპკინმა შეიტანა წინადადება, რომ [...] რომ პოლიტიკური კომიტეტი სრულიად, უსაფუძვლოდ არ განაგრძობს მუშაობას მაშინ, როდესაც მის დღის წესრიგში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია. სსრ კავშირის წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ განაახლოს მუშაობა. ამის შემდეგ გენერალური ასამბლეის სხდომა დაიხურა.

15 დეკემბრის დღის პლენარული სხდომა

[...] რეზოლუციის შესასრულებლად, რათა ადგილგადანაცვლებულ პირთა და ლტოლვილთა რეპატრიაცია მათი წარმოშობის ქვეყნებში დამთავრდეს 1951 წლის განმავლობაში. პროექტი აგრეთვე იძლევა რჩევას წინადადება მიეცეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი იმავე ქვეყნების მთავრობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წარმოუდგი-[...] მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც პალესტინისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილ შემრიგებელ კომისიას აძლევს მთელ რიგ დავალებებს მოდავე მხარეთა შორის ყველა გადაუჭრელი საკითხის მოსაწესრიგებლად. ამ პროექტმა მიიღო 48 ხმა, წინააღმდეგ მიცემულ იქნა 5 ხმა (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია); 4 დელეგაციამ (მათ შორის [...]

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ჩრდილოეთი კორეა, 17 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 17 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობენ შეტევას, ამავე დროს ეწევიან ბრძოლებს მოწინააღმდეგის განადგურებული ჯარების დაქსაქსული ნაშთების მოსასპობად.

იონჩხონის (რენსენის) რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა 14 დეკემბერს ალყა შემოარტყეს და მოსპეს ლისინმანელთა მარიონეტული ჯარების მე-6 დივიზიის მე-18 პოლკი და ამერიკელთა ჯარების 2 ბატალიონი. წინასწარი ცნობებით, ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს მტრის 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოიყვანეს 40-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არიან ამერიკელები. მოსპობილია მოწინააღმდეგის 1 ტანკი, 11 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ტექნიკა.

ხამხინის (კანკო) ჩრდილოეთით მდებარე რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის განადგურებული ჯარების ნაშთებს და ეწევიან ბრძოლებს მათ მოსასპობად. ბრძოლების მსვლელობაში ტყვედ წამოყვანილია 100-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დავლად წამოღებულია სხვადასხვა სამხედრო ტექნიკა და სამხედრო მასალა.

ამერიკელ და ლისინმანელ მოძალადეთა მხეცობა კორეაში

ჩრდილოეთი კორეა, 16 დეკემბერი, (საკდესი). ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის სონჩხონის, ჩორხანის და რენჩონის მაზრებში, რომლებიც ამჟამად განთავისუფლებულია, ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარები ამ მაზრების დაპყრობისთანავე ნესტიან სარდაფებში უყრიდნენ თავს უმწეო ადამიანებს, მათ შორის მოხუცებს, ბავშვებსა და ორსულ ქალებს და იქვე [...]

როგორც გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ იუწყება, ამერიკელმა ინტერვენტებმა და ლი სინ მანის ხროვამ სეულში 55.909 კორეელი პატრიოტი დააპატიმრეს. ლისინმანელთა პოლიცია სასტიკად უსწორდება ანგარიშს ყველა „საეჭვო პირს“ და მასობრივ მკვლელობას აწყობს ქალაქში.

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს სეულელი [...]

[...] ცეცხლი წაუკიდეს. ამერიკელი და ლისინმანელი ავაზაკები გაუპატიურების შემდეგ ხვრეტდნენ ახალგაზრდა ქალებს, თავებს კვეთდნენ მათ, მუცელს უფატრავდნენ, თვალებს თხრიდნენ, ყურებსა და ძუძუებს აჭრიდნენ. მათ მთელი შინაური პირუტყვი წაართვეს თემის გლეხებს.

[...] 8-13 წლის ასაკის ბავშვი. მცველი რაზმის ჯარისკაცებს მიჰყავდათ ისინი ჯგუფ-ჯგუფად — ათ-ათი კაცი თხრილებში და შემდეგ ესროდნენ მათ ზურგსა და თავში. მცველი რაზმის ერთი ჯარისკაცი დახვრეტის შემდეგ ავტომატით დადიოდა და ესროდა იმათ, ვინც ცოცხალი დარჩა".

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). 15 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა მუშაობა განაახლეს ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად.

სხდომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან განიხილონ ხელშეკრულების პროექტის შეუთანხმებლად დარჩენილი მუხლები იმ პირობით, თუ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი მისცემს იმის გარანტიას, რომ ეს განხილვა გამოიწვევს ხელშეკრულების პროექტის მომზადების დამთავრებას.

[...] ტანა აგრეთვე განხილულ იქნას ხელშეკრულების პროექტის მე-9 მუხლის დამტება, რომელიც ითვალისწინებს ავსტრიის ვალდებულებებს — დაშალოს მის ტერიტორიაზე მყოფი ფაშისტური ტიპის პოლიტიკური, სამხედრო, გასამხედროებული და სხვა ორგანიზაციები და არ დაუშვას მომავალში ასეთი ორგანიზაციების არსებობა და საქმიანობა თავის ტერიტორიაზე.

დასასრულ, საბჭოთა წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა განხილულ იქნას ხელშეკრულების პროექტის შეუთანხმებლად დარჩენილი მუხლები.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, [...]

[...] რომ ავსტრია, ამა თუ იმ საბაბით, არ იქნება აგრეთვე გადაქცეული ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზად, როგორც ეს უკვე მოხდა ტრიესტის მიმართ.

საბჭოთა წარმომადგენელმა წინადადება შეი-[...] ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მომზადების ახალი გადადებისათვის, აღნიშნა მან, ეკისრებათ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

20 დეკემბერს

6.45 — მარშები და სიმღერები კინოფილმებიდან. 8.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 17.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.20—კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ნაკაშიძის შესრულებით, 19.00 გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „საჩუქრები სტალინს ახალგაზრდა მუშებისაგან“. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.30—რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—შოპენის საფორტეპიანო ნაწარმოებები, 20.45—ქართული ხალხური სიმღერები, 21.10 — გადაცემა პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად, საუბარი: პირველი მსოფლიო ომი, ცარიზმის დამხობა. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა: ნაწყვეტი ხახუტურ აბოვიანის რომანიდან: „სომხეთის წყლული“. 23.00 — საბალეტო მუსიკის კონცერტი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „ოქტომბერი“; „იბანი“—„სიყვარულის წამალი“; „კომკავშირელი“, „თბილისი“, 26 კომისრის სახელობის—„გათავისუფლებული ჩინეთი“; „კოლმეურნე“—„ზიგმუნდ კოლოსოვსკი“; „დიდუბე“—„სკანდალი კლოშმერლში“.

„საქნიგნმა“
1950 წლის 15 დეკემბრიდან რუსთაველის პროსპექტზე № 44-ში გახსნა
ახალი სპეციალიზირებული მაღაზიები
1. სამედიცინო წიგნებისა
2. ნოტებისა და სხვა მუსიკალური ლიტერატურისა

მოქალაქე ლატავრა ალექსანდრეს ასულმა შანშიაშვილმა, მცხოვრებმა მაჩაბლის ქ. № 7, აღძრა საქმე გაბაშვილის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე რევაზ მიხეილის-ძე გულუასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა“ (მე-6 აბ.); რუსთაველის სახელობის—„პირველი ნაბიჯი“; მარჯანიშვილის სახელობის—„მარიტა“; გრიბოედოვის სახელობის — „აზნაურთა ბუდე“ (მე-7 აბ.); მუსიკალური კომედიის—„სიმღერა სიყვარულზე“ (ფილარმონიის საზამთრო თეატრში); მოზარდ მაყურებელთა ქართული—„მინ დაბრუნება მინდა“ (25 აბ 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული—„პოლკის შვილი“ (29 აბ. 5 ს.).

დედა სევასტი, მეუღლე ნინო, შვილები ვიტალი და დოდო, ძმა ლექსო, ბიძები ვალერიან, გუგუშა ოჯახებით იუწყებიან ნიკოლოზ მიხეილის-ძე ნოდიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XII სუჯუნაში (აბაშის რ.).

მეუღლე ქეთო ბაქრაძე, შვილი ოთარ, დედა თეოდორა, დები ეროდია, პეპელა და პაშა, ძმისშვილები ლუტუნა, ლამარა და ვაჟა, სიდედრი ოლღა, ცოლისდა ეთერ, ძმა თეიმურაზ ოჯახებით, არჩილი და თამარ კუჭუაშვილები იუწყებიან მამია ლუარსაბის-ძე ბა-[...] [...] ველდღე 7 ს. გამოსვენება 21-XII, 4½ ს. შუმიანის, 20.

და ნუცა, სიძე იოსებ ბეგიაშვილი, დისწული ქეთო, შვილიშვილები ლალი, დათო, სიძეები ილო ყაჭიური, მიშა პეტრიაშვილი იუწყებიან ალექსანდრე სტეფანეს-ძე ზარაფიშვილის გარდაცვალებას.

დედა მარიამი, მეუღლე სონა, შვილები ნინა და გივი, ძმები ირაკლი, ალექსანდრე და გრიგოლ, დები ელენე, სონა და თამარ ოჯახებით იუწყებიან ვასილ ივანეს-ძე კოქლაუშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 19-XII, 4 ს., საბჭოს, 77.

გ. ვადაჭკორია, გ. მამალაძე, შ. ფრუიძე, ბ. გეგილაშვილი, ბ. ტოტლაძე, ვ. ხოდელი, ო. მაჭარაშვილი, შ. ჩიქოვანი, შ. ფხაჭიაშვილი, რ. აპრიამოვი, ი. ელისტრატოვი, ნ. ჩხეიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კოქლაუშვილს მისი ძმის ვასილ ივანეს-ძე კოქლაუშვილის გარდაცვალების გამო.

გ. ხურციძე, გ. კირაკოზოვი, თ. ჩიჩუა, ლ. გველესიანი, გ. მერკვილიშვილი, ბ. ტროიანი, ვ. ოგანეზოვი, ა. ვართანოვი, ვ. გეგია თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კოქლაუშვილს მისი ძმის ვასილ ივანეს-ძე კოქლაუშვილის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანა, შვილები შალვა, ესმა, სიძე ირაკლი გაგუა, შვილიშვილი დათო, სიდედრი ევა იუწყებიან ალექსანდრე ხტეფანეს-ძე ზარა-[...] [...] ქემო მაჩხაანში (სიღნაღის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები მარო, ნატა, სიძეები გ. გალუსტოვი, გ. მახარაძე, შვილიშვილები ლამარა, ნელი, ლიანა, გულიკო, ლალი იუწყებიან სერგო ივანეს-ძე გრიგოლიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-XII, 7 ს. გამოსვენება 21-XII, 4 ს. კრესელიძის, 21.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სახოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და უფლებოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგეს და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, ხტამბის დირექტორის — 3-77-70.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13753